



IBSU

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის

საქართველოს უზენაესი სასამართლო წარმოდგენილი თავმჯდომარის - კონსტანტინე კუბლაშვილის სახით და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი წარმოდგენილი სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის ფარუკ გურსოის სახით, ხელმძღვანელობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა, რომელიც გულისხმობს სტუდენტთა პროფესიული დაოსტატებისა და განვითარების მიზნით, უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ უზენაეს სასამართლოსთან ურთიერთობის გზით პრაქტიკული გამოცდილების მიღებას.

2. მემორანდუმის მიზანი

- 2.1 წინამდებარე მემორანდუმის მიზანია კვალიფიციური იურიდიული განათლების განვითარების ხელშეწყობა.
- 2.2 ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც მიმართულია სამართლებრივი კვლევების, საგანმანათლებლო საქმიანობისა და სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობისაკენ.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 უზენაესი სასამართლო კისრულობს ვალდებულებას:

- 3.1.1 სტაჟირების გამოცხადების შემთხვევაში შეატყობინოს აღნიშნული უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.
- 3.1.2 გასაუბრების შედეგად შერჩეული სტუდენტები უზრუნველყოს სტაჟირების გავლისთვის აუცილებელი სათანადო პირობებით.
- 3.1.3 სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული აქტივობების დაწყებამდე გააცნოს სტუდენტებს მუშაობის პრინციპები, სტაჟირების კურსის შინაარსი.
- 3.1.4 სტუდენტის მიერ სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში გასცეს სერთიფიკატი.
- 3.1.5 მოთხოვნის შემთხვევაში უნივერსიტეტთან ერთად დაგეგმოს და განხორციელოს სპეციალური კურსი სასამართლო ხელისუფლების შესახებ სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.
- 3.1.6 მოთხოვნის შესაბამისად, უზრუნველყოს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის უზენაესი სასამართლოს შენობაში გაცნობითი ხასიათის ექსკურსია.
- 3.1.7 იმეტირებული სასამართლო პროცესების ჩასატარებლად დაუთმოს სტუდენტებს უზენაესი სასამართლოს სხდომის დარბაზები.
- 3.1.8 წელიწადში ერთხელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად დაგეგმოს და ორგანიზება გაუწიოს სტუდენტებისთვის სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებას.
- 3.1.9 უნივერსიტეტთან ერთად დაგეგმოს სხვა აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს ამ მემორანდუმით განსაზღვრული მიზნის განხორციელებას.

3.2 უნივერსიტეტი კისრულობს ვალდებულებას:

- 3.2.1 ხელი შეუწყოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოცხადებული სტაჟირების პროგრამაში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების მონაწილეობას.
- 3.2.2 უზენაეს სასამართლოსთან ერთად დაგეგმოს და მონაწილეობა მიიღოს სტუდენტებისთვის სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებისთვის აუცილებელ სხვადასხვა საორგანიზაციო ღონისძიებებში.
- 3.2.3 ხელი შეუწყოს უზენაესი სასამართლოს შენობაში გაცნობითი ხასიათის ექსკურსიას სტუდენტებისთვის.

4. მემორანდუმის მოქმედების ვადა

- 4.1 წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მანამ, სანამ ერთ ერთი მხარე არ მოითხოვს მის შეწყვეტას;
- 4.1. მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები

საქართველოს უზენაესი
სასამართლოს თავმჯდომარე

მის: მმ. ზუბალაშვილების ქუჩა N32
0110 თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2 93 12 62
ფაქსი (+995 32) 2 92 08 76
ვებ-გვერდი: www.supremecourt.ge

კონსტანტინე კუბლაშვილი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანი

მის: აღმაშენებლის ხეივანი 13 კმ. #2
ქ. თბილისი 0131, საქართველო.
ტელ: (+995 32) 259 50 05
ფაქსი: (+995 32) 259 50 08
ვებ-გვერდი: www.ibsu.edu.ge

ფარუკ გურსოი